

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

მოტივირებული და ინფორმირებული აპლიკანტების მოზიდვის მიზნით:

მომზადდა ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა სატელევიზიო სივრცეში, კოლეჯის დირექტორი სტუმრად იმყოფებოდა იმედის დილის ეთერში პროფესიულ პროგრამებზე მიღების გამოცხადებასთან დაკავშირებით სასაუბროდ, კოლეჯის სოციალურ ქსელებსა და ვებ-გვერდზე განთავსდა წარმატებული კურსდამთავრებულების ვიდეო-რგოლები, ცნობილი ტელეწამყვანები და სატელევიზიო სახეები 20 წამიან ვიდეოებს წერდნენ, სადაც აპლიკანტებს უზიარებდნენ კოლეჯში სწავლის პერიოდში მიღებულ გამოცდილებას. 3 აგვისტოს გაიმართა მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ვებინარი, სადაც აუდიტორიას პროგრამების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა.

ვიზუალური მასალა მოკლევადიანი პროგრამებისთვის მაგრამ არ ჩაშვებულა სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის გამო ვერ განხორციელდა მიღება მოკლევადიან მომზადების პროგრამებზე.

პანდემიისა და ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვების გამო ვერ მოხერხდა სკოლებში პრეზენტაციების ჩატარება, ასევე ვერ მოხერხდა მიზნობრივი ექსკურსიების მოწყობა მოსწავლეებისთვის, თუმცა აღნიშნული აქტივობის ალტერნატივად 40-მდე სკოლას ელექტრონულად დაეგზავნა საინფორმაციო ბუკლეტი. დირექტორებთან პირდაპირი კომუნიკაციით და მათი მხრიდან უკვე დამრიგებლების ჩართვით მოხდა XII კლასელებისთვის ბუკლეტის ელექტრონულად (ან სოც.ქსელის მეშვეობით) მიწოდება. რეგისტრაციის გამოცხადების შემდეგ იმავე სკოლებში გადაიგზავნა საიმეჯო ვიდეო რგოლი და ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ.

მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

2020 წლის მიღებაზე კოლეჯმა გამოაცხადა მიღება ექვს პროფესიულ პროგრამაზე: ტელე-რადიო წამყვანი, რეპორტიორი, ვიდეომემონტაჟი, ტელერეჟისურა, სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა, ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება.

53 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 281 უნიკალური აპლიკანტი. კონკურსის შედეგად ჩაირიცხა შემდეგი რაოდენობის სტუდენტები:

პროგრამაზე ვიდეომონტაჟი - 10 პროფესიული სტუდენტი , მათ შორის 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი;

პროგრამაზე ტელე-რადიო წამყვანი - 9 პროფესიული სტუდენტი

პროგრამაზე ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება - 10 პროფესიული სტუდენტი

პროგრამაზე ტელერეჟისურა - 8 პროფესიული სტუდენტი

პროგრამაზე ტელეეთერის დიზაინი (სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა)-11
პროფესიული სტუდენტი

პროგრამაზე რეპორტიორი - 8 პროფესიული სტუდენტი.

სამ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტები ჩაირიცხნენ ქვოტის გადაჭარბებით აპლიკანტთა თანაბარი ქულის გამო, გადაჭარბებით მიღებული სტუდენტების რაოდენობა დააკლდება მომდევნო მიღებაზე გამოსაცხადებელი ადგილების რაოდენობას.

ავტორიზაციის ახალ სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით

ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით **გადამუშავდა** შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების და შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია;
 - ✓ კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
 - ✓ ხარისხის მართვის ინსტრუქცია;
 - ✓ პირველი დახმარების აღმოჩენის და უსაფრთხოების წესი;
- შემუშავდა** შემდეგი რეგულაციები:
- ✓ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა გაანგარიშების მეთოდოლოგია;
 - ✓ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
 - ✓ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია;
 - ✓ ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია;
 - ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
 - ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;

ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან მიმართებაში ჩატარდა კოლეჯის თვითშეფასება, თვითშეფასების ანგარიში და დანართები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარედგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ჩატარებული ტრენინგები და კონსულტაციები

ჩატარდა ტრენინგები პროფესიული მასწავლებლებისთვის დისტანციური სწავლების და Team-ის პლატფორმის გამოყენების შესახებ; ასევე დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა ტრენინგი პროფესიული განათლებაში შეფასების საკითგებზე.

საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მასწავლებლები იღებდნენ კონსულტაციებს დისტანციურ რეჟიმში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

მასტერკლასები პროფესიული სტუდენტებისთვის

მასტერკლასები ჩატარდა შემდეგი პროფესიული პროგრამებისთვის და შემდეგ თემებზე:

1. „ფოტოგრაფიაში“ მასტერკლასი ჩატარა ფოტორეპორტიორმა ირაკლი გედენიძემ, თემა: „რეპორტაჟი“;
2. პროგრამებისთვის: „რეპორტიორი და ტელე-რადიო წამყვანი“ მასტერკლასი ჩატარა ჟურნალისტმა დავით პაიჭაძემ თემაზე: „ინტერვიუ“;
3. პროგრამებისთვის: „რეპორტიორი“; ტელე-რადიო წამყვანი“ და „ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება მასტერკლასები ჩატარეს რეპორტიორმა და ტელეწამყვანმა დავით კაკულიამ და ოპერატორმა ვაჩე გოგოლაშვილმა, თემაზე: უსაფრთხო რეპორტიინგი;
4. მასტერკლასები კოლეჯის უცხოელმა პარტნიორებმაც: ამერიკის შეერთებული შტატებიდან ლეონიდ მაზორმა, ჯერმანეთის უმაღლესი სკოლის პროდაქშენის განყოფილების პროდიუსერმა, თემაზე: "პანდემიის პირობებში მოკლევადიანი სატელევიზიო გადაცემის მომზადება" (ყველა პროგრამის სტუდენტებისთვის) და პოლონეთიდან ანჟეი ვოლფმა, ვარშავის კინოსკოლის პედაგოგი, პოლონელი კინო და სატელევიზიო ოპერატორი, თემაზე: „ნატურმორტი“ (წინასწარ მიცემული დავალების განხილვა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სტუდენტებისთვის).

პროფესიული პროგრამების ანალიზი და განვითარება

მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა ფოტოგრაფიის ჩარჩო დოკუმენტში ცვლილებების პაკეტი, ჩატარდა საჯარო განხილვა, კოლეჯმა შესაბამის დარგობრივ საბჭოსთან წარადგინა ცვლილებების პაკეტი, საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიტანა ცვლილებები პაკეტში და დასამტკიცებლად გაეგზავნა ცენტრს;

რეპორტიორის, ტელე-რადიო წამყვანის, ვიდეომემონტაჟის, ვიდეო - საოპერატორო ხელოვნების, ტელეეთერის დიზაინის (სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა) და ტელერეჟისურის პროგრამებისთვის პრობლემური საკითხები შეგროვებულია იმ მოდულებზე რომლებიც უკვე განხორციელდა, ასევე მომზადებულია ანალიზის დოკუმენტი, რისთვისაც მოხდა საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, ევროპული კვალიფიკაციების ანალიზი, ISCO და ISCED-ს ანალიზი. პროგრამების ცვლილებებისთვის სრულყოფილი პაკეტის მოსამზადებლად საჭიროა დასრულდეს პროგრამები.

„საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლების და ტრენინგების სისტემის მოდერნიზაცია, ფაზა 2“ შემაჯამებელი ეტაპი

ონლაინ რეჟიმში ჩატარდა პროექტის პრეზენტაცია. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა პროექტის ფარგლებში კოლეჯების PR მენეჯერების მიერ შემუშავებული 4 კოლეჯების 1 წლიანი პიარ კამპანია.

პრეზენტაციაზე ნაჩვენები იყო პროექტის ფარგლებში კოლეჯის შემოქმედებითი გუნდის მიერ გადაღებული და დამონტაჟებული საინფორმაციო ვიდეორგოლები. შეხვედრას ესწრებოდნენ პროექტის ბენეფიციარი კოლეჯების PR მენეჯერები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე და დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კოლეჯის ახალი შენობა

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს (ESIDA)-ს მიერ შემუშავდა კოლეჯის ახალი შენობის კონსტრუქციული ნაწილი.

მატერიალური რესურსის განახლება

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ფოტოგრაფიის განახლებული ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობის მიზნით კოლეჯმა შეიძინა აღჭურვილობა.

სტუდენტური ტელევიზია

2020 წლის მარტიდან დავიწყეთ 2019 წელს შემუშავებული და სამინისტროს მიერ დამტკიცებული კოლეჯის საწარმოო დეპარტამენტის მრავალწლიანი პროექტის რეალიზაცია, რაც გულისხმობს კოლეჯში მცირე სატელევიზიო წარმოების ამოქმედებას სტუდენტური ტელევიზიის სტატუსით და სახელწოდებით „პარაშუტი“; რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პროფესიული კვალიფიკაციის ზრდას სასწავლო პროცესში; დეპარტამენტის თანამშრომელთა მაქსიმალურ ჩართულობას ინსტრუქტორების სტატუსით სასწავლო პროგრამების პრაქტიკულ მოდულებში და „პარაშუტის“ სახელით სტუდენტური მაუწყებლობის დაწყებას რომელიმე სატელევიზიო არხზე.

ამ მიზნების მისაღწევად 2020 წლის 9 თვეში:

- შემუშავდა და დამტკიცდა სტუდენტური ტელევიზიის „პარაშუტი“ კონცეფცია.
- საწარმოო ჯგუფმა კოლეჯში „მერმისი“ მოამზადა მცირე ფორმატის 22 სამოტივაციო ფილმი სასწავლო პროფესიული პროგრამების შესაბამისად;
- მონაწილეობა მიიღო პროექტის „ტელესკოლა“ ფარგლებში სომხური და აზერბეიჯანული საეთერო 270 გაკვეთილის მომზადებაში;
- მონაწილეობა მიიღო გაეროს სოფლის მეურნეობის პროგრამის პროექტის რეალიზაციაში;
- სტუდენტთა ჯგუფის ჩართულობით მოამზადა ფილმი თსუ სამეცნიერო საქმიანობაზე;
- სტუდენტთა ჯგუფების ჩართულობით მოამზადა საეთერო სამი გადაცემის საპილოტე ვერსია.

დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების/შეფერხებების გამო ვერ განხორციელდა:

-ვარშავის კინოსკოლასთან თანამშრომლობით ერთობლივი მოკლევადიანი პროგრამის შემუშავება;

-დამსაქმებელთა საბჭოს ფორმირება;

- მოკლევადიან პროგრამებზე მიღება;

-ინტეგრირებული პროგრამის შემუშავება ფოტოგრაფიის პროგრამის ფარგლებში.